



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030198165590220

№ 10-6/თ

11 / სექტემბერი / 2020 წ.

**„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით
დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამკურნალო საშუალებების
დაცვა-ესკორტირება (ბადრაგირება) საქართველოს ტერიტორიაზე
გადაადგილებისას - მომსახურების განხორციელების გადაუდებელი აუცილებლობით
შესყიდვის შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირება (ბადრაგირება) საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს N01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაევალოს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების დეპარტამენტს (გ. ონიანი):

ა) უზრუნველყოს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირება (ბადრაგირება) საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას - გამარტივებული შესყიდვის (გადაუდებელი აუცილებლობა) საკითხის შეთანხმება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით შესყიდვის შეთანხმება ხელშეკრულების დადების შემდგომ.

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების შესრულებისთვის აუცილებელი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში ასატვირთი კითხვარი - წინამდებარე ბრძანების დანართი N1.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144) ან სასარჩევლო განცხადებით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად



თამარი მელიქიძე

შემსყიდველი

სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

შესყიდვის საფუძველი

შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ

მიწოდების ვადები

14.09.2020 - 31.12.2020

შესყიდვის ღირებულება

50370 ლარი

შესყიდვის კატეგორია

79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები

კლასიფიკატორის კოდები

79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები

მიმაგრებული ფაილები

[1. 509 დადგენილება.pdf](#)

10.09.2020 12:44 წაშლა/გაუქმება/აღდგენა

[2. 169 დადგენილება.pdf](#)

10.09.2020 12:44 წაშლა/გაუქმება/აღდგენა

1. რა არის შესყიდვის ობიექტი?

პასუხი „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირება (ბადრაგირება) საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას.

2. რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

პასუხი „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირება (ბადრაგირება) საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას მომსახურების განხორციელება უწყვეტობით.

3. რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?

პასუხი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს N509 დადგენილების საფუძველზე, სააგენტო განისაზღვრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამართალმემკვიდრედ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების საქმიანობის მიმართულებით. ამასთან „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში 2020 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა და შესაბამისი პროგრამების

უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

4. რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?

პასუხი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს N509 დადგენილების საფუძველზე, სააგენტო განისაზღვრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამართალმემკვიდრედ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების საქმიანობის მიმართულებით. ამასთან „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში 2020 წლის 1 სექტემბრიდან. შესაბამისად, ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

5. რა რეალური საფრთხე ექმნებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას?

პასუხი საფრთხე ექმნება სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის განხორციელებას - "C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის უწყვეტად შესრულებას.

6. ხომ არ აყენებდა ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?

პასუხი ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს - "C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული კონტინგენტის ჯანმრთელობას/სიცოცხლეს.

7. გთხოვთ მიუთითოთ, ალბათობის მაღალი ხარისხით, შესყიდვის დაყოვნება რა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეებს?

პასუხი მაღალი ალბათობით შესყიდვის დროში დაყოვნების შედეგად, გამოუსწორებელი ზიანი მიაღებოდა "C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის უწყვეტობას, მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

8. როდის დადგა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და რა ღონისძიებები გაატარეთ სააგენტოში მომართვის წარდგენამდე?

პასუხი გადაუდებელი აუცილებლობა დადგა მას შემდგომ რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს N509 დადგენილების საფუძველზე, სააგენტო განისაზღვრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამართალმემკვიდრედ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების საქმიანობის მიმართულებით. ამასთან „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებასთან

დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში 2020 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა და შესაბამისი პროგრამების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

9. რატომ იყო შეუძლებელი გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელთარსებული რესურსით აღმოფხვრა?

პასუხი სააგენტოს არ გააჩნია სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირების (ბადრაგირება) კომპეტენცია და ვერ შეძლეს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას საკუთარი ძალებით.

10. გთხოვთ მიუთითოთ ვითარების აღმოსაფხვრელად შესყიდული საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა.

პასუხი შესყიდული მომსახურების რაოდენობა განსაზღვრულია „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით.

11. რით დასტურდება, რომ შესყიდული საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას?

პასუხი „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით.


12. გთხოვთ ატვირთოთ დადებული ხელშეკრულება, თუ იგი ჯერ არ არის ატვირთული სისტემის CMR მოდულში.

პასუხი

13. გთხოვთ ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

პასუხი  [_169 დადგენილება.pdf](#)

14. გთხოვთ ატვირთოთ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები(ფოტოსურათი, ექსპერტის დასკვნა, ინსპექტირების აქტი და სხვა)

პასუხი  [_509 დადგენილება.pdf](#)